# სახალხო გაზეთი

№ 591 შაბათი, 5 მაისი, 1912 წ. № 591

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა—40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


ხვალ, 6 მაის, გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულ

**კნ. ანნა გიორგის ასულის ამილახვრის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულისას დები და სიძეები: **ალექსანდრა გიორგის ასული ყანჩელისა, კნეინა სალომე გიორგის ასული და თ-დი როსებ თადეოზის ძე ამილახვრები. კნეინა დარია გიორგის ასული და თ-დ. ნიკოლოზ ვასილის ძე სუმბათაშვილები.**
წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 1 საათზე. ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. (1—423—1)

**თავადი ლევან აბელის ძე ანდრონიკაშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობებთ და ამხანაგთ უდროვოდ გარდაცვალებას მისი დაუვიწყარი მეუღლისა

**კნეინა ბეტი გიორგის ასულისა.**

წირვა და პანაშვიდი გარდახდილ იქმნება შაბათს 5 მაისს, დილის 9 საათზე ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა საგვარეულო სასაფლაოზე ს. გურჯაანში. (1—421—1)

კვირას, 9 მაისს, 12 საათზე გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ზედა თეკლათის წმინდა გიორგის ეკლესიაში, განსვენებულ სტუდენტ

**თავ. ივანე (გუგული) ნესტორის ძის მხეიძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და მეგობართა დედა **კნეინა ოლინკა მხეიძისა** და დები **სოფიო ჯაყელისა და ნინო მხეიძე.** (1—420—1)

მწუხარებით გულმოკლული **მამა პოდპოლკოვნიკი ერმოლოზ ივანეს ძე და დედა ვალენტინა პეტრეს ასული, ბიძა ნოე ივანეს ძე ჭედია, და ევგენია ერმოლოზის ასული ჩხეიძისა, აზნაური პეტრე დავითის ძე და მეუღლე მისი აგაფია დავითის ასული ჭედიები,** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უდროოდ გარდაიცვალა პირველთა საყვარელი ასული, მეორისა—ძმისწული, მესამისა—და, მეოთხეთა—შვილიშვილი

**ლ ი უ დ ა.**

დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 6 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, (ლევაშევის ქუჩა). პანაშვიდები ყოველ დღე სადამოს 7 საათზე. (2.1244.1)

**ტელეფ. № 795. ქართული თეატრი ტელეფ. № 795.**

კვირას, 6 მაისს 1912 წ.

**წარმოდგენილი იქნება** პირველად ახალი პიესა

**ყაჩაღი ქიარიმა**

ტრაგედია 4 მოქ. აპოთეოზით, თხზ. ივ. მჭედლიშვილისა.

დასაწყისი სად. $8^1/_2$ საათზე.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (2—1243—1)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**ძმნეიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი ავადმყოფ. | **ამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). $11^1/_2$—12 საათ.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგიული | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) $11^1/_2$—$12^1/_2$.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| სამშობიარო, ქალთა სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვების ავადმყოფ. | **ამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), $11^1/_2$—12 ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.<br>**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. ავადმყ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურის, ყელის ავ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $2^1/_2$—3. |
| თვალის ავ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—$2^1/_2$. |
| კანის ავ. | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—$1^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann რჩევისათვისა 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „6 0 6“ **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—10[illegible]0—329)

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტ უ ბ ე რ კ უ ლ ი ნ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და სადამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ.100—1534—216)

**ჭურჭლეულისა და ავეჯეულობის მაღაზია ფ. ს. ფ ი ლ ი პ ო ვ ი ს ა,**

ქუთაისში

ყოველთვისა გვაქვს დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ქაშანურის ჭურჭელი, ბროლისა და მინის საქონელი; ვარშავისა და საზღვარ-გარეთის ლამფები, საზღვარ-გარეთული ემალიანი თეთრი კალპაკები და სპილენძის ჭურჭლეულობა. სამოვრები, ცეროსი... კები და ყოველგვარი საოჯახო მოწყობილობა ახალი ვერცხლისა (მელხიორის) და ბრინჯაოსი. ვენური, მოხრილი ინდოეთის ლე... რწმის (ბამბუკის) რბილი ავეჯეულობა. ინგლისისა და ვარშავის კრაოტები, დოშაკები, კედლისა და საპირფარეშო სარკეები. კლიონკა და იატაკზე საფენები. საზღვარ-გარეთისა და რუსეთის გიტარები, ფორტეპიანოები და ყოველნაირი და ყოველ-ხარისხის სი... მეზი, პიანინო სხვა და სხვა ქარხნისა. ელექტრონული ლამფები, არმატურები და მოწყობილებანი, ორთქლით-მრეცხავები (პარო... შიკები) ახალის სისტემისა და საეკლესიო ნივთეულობა. დიდ-ძალი რჩეული **შპალიერი** თოფი 8 კ.-დან 1 მ. 50 კ.-დე. ქუთ. გუბ. და ბათომის ოლქის წარმომადგენლობაც: გვაქვს **საწერი მანქანა „ტორპედოსი“**. ფასები მეტის-მეტად დაკლებულია. (წ. 1236.4)

**ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი**

**შაბათს, 5 მაისს,**

ზ. ს. ს. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე.

წრის სცენის მოყვარეთა დასის მიერ წარმოდგენილი იქნება;

**პედაგოგები** (ანუ აღმზრდელი ფლაქსმანი), კომ. 3 მ. ოტტო ერნესტისა თარგმანი ნახუცრიშვილისა.

2) დ ე დ ი ს ე რ თ ა, ვოდ. 1 მ. გადმოკ. ვალ. გუნიას მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ანკარა, ანტუანეტა, ბექანიშვილი, ელენელი, ს. რომანიშვილი, ო. ლეჟავა, მ. ქართველიშვილი, ა. ქიქოძე; ბბ. გ. ანაშვილი, დ. ბაქრაძე, ნ. გოცირიძე, მ. ინაშვილი, ს. რომანიშვილი, მეტრეველი ა. მეტეხელი, ა. ნარი, ნინიძე. კ. ხახანაშვილი, ჭიაურელი, ნ. ჰანკვეტაძე, ალ. წუწუნავა. **დასაწყ. 8 ნახ ს.** ადგილების ფასი 50—5 კაპ. (2.[illegible]4.2) რეჟ. **ალ. წუწუნავა**, ადმინ. **სვ. ჯულელი**, მორიგი წევრი **ს. რომანიშვილი.**

**ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი**

**შაბათს, 5 მაისს,**

**მეხუთე სიმფონიური კონცერტი.**

სიმებიანი ორკესტრისა ბ-ნ **ს. ი. პრესმანის** ლოტბარობით. მონაწილეობას მიიღებს საიმპერატორო თეატრის არტისტი **ი. პ. ტომაშევიჩი**. შესრულებულ იქნება: სიმფონია „Es-dur“—№ 3, ბეთჰოვენისა; უვერტიურა „რობესპიერ“—ლიტოლფისა, არაგონის ხოტა—გლინკასი, პროლოგი—სიმონ ბოკკანეგრის ოპერიდან—ვერდისა; „ალლუმი სადამოს“—გლინკასი და სხვ. **დასაწყ. სად. 9 ს.** ფასი თეატრის პარტერები 1 მ. 50 კ.-დან 40 კ.-მდე; გალერეია 40 კ.-დან—10 კ.-დე. კლუბში შესასვლელი ფასი: კაცი—50 კ., და ქალები და სტუდენტები—25 კ. (2.[illegible]9.2)

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

**ძმ. ე. და პ. საჯაიაშვილები.**

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

**1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ ჩვენი**

**რკინეულობის სავაჭრო პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში.**

და შესამჩნევად გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლად, მაგ. კარ-ფანჯრებისა და ბუხარ-ფეჩების მოწყობილება, ლურსმანი, რკინის ნიჩბები, კირკები და სხ., სახელოსნო ხელსაწყობები, ფანჯრების მინები, მავთული, თუნუქი, „ჟესტი“, სხვა და სხვა ნაირი ემალიანი ჭურჭლეულობა; ყოველგვარი სადებავი წამალი, შპალიერი, ელექტრონის ზარების მოწყობილება, ცემენტი, ალიბასტრი და მრავალი სხვა საქონელი ჩვენი ხელობისა.

**ფ ა ს ე ბ ი ზ ო მ ი ე რ ი ა.** (25 1195.18)

**კახელ მევენახეთა საზოგადოების**

**„კახეთის“** გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა 1912 წლის 14 მაისს დანიშნულია **საზოგადო კრება** ტფილისში თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში (ბელინსკის ქუჩა) დილის 10 საათზე ბადლად იმ კრებისა, რომელიც უნდა მომხდარიყო გასულ წლის 14 დეკემბერს და არ შესდგა. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

**კრებამ უნდა განიხილოს:**

1) 1910—1911 წლის ანგარიში და 1911—1912 წ. ხარჯთ-აღრიცხვა და მოქმედების გეგმა.
2) მოხსენება საქმის გამგებლობის ცვლილების შესახებ.
3) გამგეობის წევრთა რიცხვის მომატება ხუთამდის.
4) ახალ წევრთა მიღება.
5) სარევიზიო კომისიის და გამგეობის წევრთა არჩევა. (2—1249—2)

**ქ უ თ ა ი ს ი**

შუაგულ ქუთაისში, **„მწვანე ბაზარში“, ახლად გაიხსნა**

**ლამაზად გაკეთებული და მორთული**

**პირველ-ხარისხოვანი სასტუმრო**

**„ბ რ ი ს ტ ო ლ ი“.** მშვენიერი ფოიეთი, სამკითხველოთი და ელექტრონის განათებით. სასტუმროსთან მოწყობილია **საუკეთესო სამზარეულო**, სადაც მზადდება ყოველ დღე **ახალი გემრიელი საჭმელები.**

**ფასები ზომიერია.** ქ უ თ ა ი ს ი (25.1194.19)

**ქ უ თ ა ი ს ი ს**

**სათავად-აზნაურო სადგმილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი,**

თანახმად ბანკის წესდების მე-89 მუხლისა, საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის რწმუნებულთა

**მ ო რ ი გ ი კ რ ე ბ ა**

დანიშნულია ქ. ქუთაისს, ბანკის დარბაზში 1912 წ. 20 მაისს, დილის 10 საათზე. მე-89 მუხ. შენიშვნის თანახმად, კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი რწმუნებულიც უნდა დაესწროს.

**რწმუნებულთა მიერ განსახილველ საქმეთა სია:**

1) 1911 წ. ანგარიში, ზედამხედველ კომიტეტისა, ბანკის გამგეობისა და დამფასებელ კომისიის მოხსენებით.
2) 1912 წ. ხარჯთ-აღრიცხვა.
3) მოხსენება გამგეობისა ბანკის ზოგიერთ მუხლთა შეცვლის თაობაზე.
4) მოხსენება გამგეობისა ბანკზე დარჩენილ მამულების თაობაზე.
5) მოხსენება გამგეობისა სასამართლოში წარმოებულ საქმეთა და საიურისკონსულტო ნაწილის რეორგანიზაციისა.
6) მოხსენება გამგეობისა ბანკის საოპერაციო ფარგლის გაფართოებაზე.
7) ანგარიში ბანკში მოსამსახურეთა საპენსიო კასისა.
8) ბანკში მოსამსახურეთა საპენსიო კასის წესდების შეცვლა.
9) მოხსენება იმის თაობაზე, რომ ბანკში მოსამსახურეთ ეკრძალებათ იკისრონ აგენტობა და სუბ-აგენტობა ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოებაში.
10) ის კითხვები, რომელნიც რწმუნებულთა ერთმა ჯგუფმა წარადგინა საგანგებო კრებაზე განსახილველად 1912 წ. იანვარში, რომელთა განხილვა რწმუნებულთა მორიგ კრებისათვის გადაიდო.
11) არჩევა ზედამხედველ კომიტეტის ერთი წევრისა, რიგის მიხედვით გასულ წევრის ნაცვლად; ა. ს. საყვარელიძისა. არჩევა გამგეობის წევრთა კანდიდატებისა თ-დ ი. ნ. ნიჟარაძისა და ე. ს. ქუთათელაძის მაგიერ. (3.—1222.—2).

**საგურთალოზე**

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიკრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. სადამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 294)

**შპალიერი**

**ძმ. ტარნოპოლთა ქარხნისა.**

**ტფილისის განყოფილება.**

იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., ტელეფ. № 355. **საწყობში** ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც **საქარხნო ფასებში იყიდება,** თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში.

შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.1159.13)

**ექიმი ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., სადამოთი —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—80.

**ელექტრონისა და რენტგენის**

**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., სადამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—49).

**შ ე ი ძ ლ ე ბ ა დ ა კ ვ ე თ ა:**

**ილია ჭავჭავაძის თხზულებანი**

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლ ე ქ ს ე ბ ი დ ა ბ ე ლ ე ტ რ ი ს ტ უ ლ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფ ა ს ი 8 მ ა ნ ე თ ი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და ბ. ოცხელთან.**
**ფოთში—იონა მეუნარგიასთან.** **თელავში—თამარა აბაშიძესთან.**
**სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.** **ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
**სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.** **ბაქოში—ილია აგლაძესთან.**
**სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.** **ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.**
**ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.** **ერევანში—ელენე ვირსალაძესთან.**
**ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.**

**ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** (3—1153—3)

**სიღნაღის საურთიერთო ნდობის**

**ბ ა ნ კ ი ს**

**დამფუძნებელი კრება დანიშნულია**

**კვირას, 6 მაისს,** ქ. სიღნაღში დილის 10 საათზე.

(1.424.1) **საორგანიზაციო ბიურო.**

**ახალი გამოცემა ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებისა**

**ბ ე ს ი კ ი**

(ბესარიონ გაბაშვილი)

ფასი 1 მან.

ი ყ ი დ ე ბ ა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წიგნებით მოვაჭრეებს დაეთმობათ 20% დაკლებით. ს ა წ ყ ო ბ ი: ოლგის მისახვევი, № 5 ბინა **გ. ს. რცხილაძისა.** 0—1235—6

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბ. ა. ბოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 $^1/_2$.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606“**

(წლ.—1018—261)

**დოქტორი მედიცინისა**

**ი. ე. თიკანაძე**

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე სადამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1037 159)

**ექიმი ქ ბ ი ლ ი ს ა ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და სად., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელისაბედის ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ.** (25—1178—30)

**ექიმი პ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი**

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სტლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები), სიფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. სადამოს 5—7. (25.1045.103).

**ექიმი შ. ა. მ ი ქ ე ლ ა ძ ე**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე სადამოს 5 ნახ.—$6^1/_2$ საათ. კახეთის ქ., № 1.

**ექიმი ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს, სადამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ

ქართველთა შ. წერ.-კითხვ. გამ. საზოგ. წიგნის

# მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები

**საკუთარებანი წ.-კ. საზოგადოებ., ი. გოგებაშვილის მიერ დაწერილი.**

| | | | |
|---|---|---|---|
| საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა, ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან ..... ფასი | კაპ. 20 | იავნანამ რა ჰქმნა? ...... | 5 |
| Методическое руководство къ преподаванію русскаго языка, მესამე გამოცემა ..... | 40 | ასპინძის ომი. ...... | 7 |
| ბურჯი ეროვნებისა. .... | 20 | თავდადებულნი ქართველნი . | 5 |
| | | მეფე ერეკლე და ინგილო ქალი | 5 |
| | | რანი ვიყავით გუშინ? ... | 20 |
| | | რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები .. | 1 — |

ამ წიგნებში ვინც 5 ცალზე მეტს იყიდის, დაეთმობა 20%.

**ადრესი:** Тифлисъ О—ва распространенія грамотности.



გამოცდილმა

## მასწავლებელმა

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

**აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო** და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

**Адресъ:** Семеновская ул., д. 23, Кв. 1, **входъ съ подъѣзда, нижній звонокъ. спросить учителя.**

**А съ Елизаветинской ул. д. № 38.** (**недалеко отъ памятн. Воронцову).**

(თ. 1084.17)



**ექიმი** კბილისა **არჩილ (გიორგი ბ—ძე) დოლიძე** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.

რკინის გზის სამმართველოსთან, **ელისაბედის ქუჩა № 166.** (25.1179.28)



**ექიმი** კბილისა **ნინო რუხილაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის **შესახ. № 5.**



**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—85)



**ექიმი** **ე. ი. მინასიანცი**

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mnthien-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., **№ 39,** ტელეფონი **№ 1067)** (100—1117—151).


# სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები

**რომიანკო თავმჯდომარეობს.**

გადასახლების საქმეთა გამგეობის ხარჯთაღრიცხვის განხილვას განაგრძობენ.

**გრაფი კაპნისტი** წინააღმდეგია საბიუჯეტო კომისიის აზრისა, რომელსაც ციმბირში სამოსახლო მიწების შესაძენად გადადებულ თანხისათვის 350 ათასი მანეთი დაუკვლია და უწყებაც დასთანხმებია. ამით გადასახლების საქმეთა კომისიის მოქმედებას მთლად ეკარგება მნიშვნელობაო.

**კროპოტოვი.** ალტის მხარე მის უდიდებულესობის კაბინეთს კი არ უჩუქებია, ხალხის ფულით იყიდესო.

**ჰაიდროვი** მუსულმანთა ფრაქციის სახელით პროტესტს აცხადებს კინდიაკოვის ფორმულის გამო, რომელიც ზღუდავს ცალკე ეროვნებათა უფლებას, მამულის შეძენის საქმეში.

**სკოროხოდოვი.** მთავრობა ციმბირში იმისთანა უთაურ ხალხს ასახლებს, ვისაც მხოლოდ ხაზინის იმედი აქვს და პირში შესცქერის (მემარცხენეთა ტაში).

**ვოილოშნიკოვი.** მთავრობის პოლიტიკას გადასახლების საქმეში სულ სხვა მიზანი აქვს. სცდილობენ გლეხებს დაავიწყონ მემამულეთაგან მიწების ძალით ჩამორთმევის აზრი და ციმბირში ერეკებიან ათას-აიასობით მშიერ მწყურვალ, სარევოლუციო გუნებაზე მყოფ გლეხობასაო, მესამე სათათბირო კი ადასტურებს მთავრობის ასეთ პოლიტიკას! (მემარცხენეთა ტაში).

**სიმონოვი.** მთავრობას გამოესარჩლა და დასძინა: იმედია გადასახლების საქმე განვითარდება და გაძლიერდება ჩვენი ქვეყნის საბედნიეროდაო (ცენტრელების ტაში).

ხარჯთ-აღრიცხვა მიიღეს ვინოგრადოვის შესწორებით. მისის ძალით „დასასახლებელთა მიმოსვლისა და ბინავების გამგე დაწესებულებათათვის“ უნდა გადაიდოს კიდევ 10 ათასი მანეთი. მიიღეს აგრეთვე **სუვჩინსკისა და მღვდ. ტრეგუბოვის** ფორმულები. **კინდიაკოვისა** და **შილოს** ფორმულა უარჰყვეს (ეს ფორმულები წინა ანგარიშში იყო მოხსენებული).

**თავმჯდომარე** ატყობინებს სათათბიროს წევრებს დანიის მეფის გარდაცვალების ამბავს, წინადადებას იძლევა, დანიის პარლამენტს თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნოთ და ფეხზე ადგომით პატივი ვცეთ გარდაცვალებულის ხსოვნასაო.

ყველანი ფეხზე დგებიან.

**ვოიეკოვი** მე-2 კითხულობს იუსტიციის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვას. ხარჯი ნავარაუდევია — 48,876,163 მან.

**მაკლაკოვი.** კანონი და სამართალი ყოველთვის ერთად არიან. სადაც სახელმწიფოს ცხოვრებას კანონი განაგებს, იქ მოსამართლე ყველაზე მაღლა სდგას. მაგრამ სადაც კანონს მაშინ აასრულებენ, როდესაც მთავრობისათვის არის ხელსაყრელი, მოსამართლენი სრულიად არ განირჩევიან მთავრობის სხვა წარმომადგენელთაგან. 1864 წლის სასამართლოს წესდებას სამართალზე ძალიან დიდი შეხედულება უდევს საფუძვლად; მაგრამ რაც 1864 წელს ბუნდოვნად გამოსთქვეს, 17 ოქტომბერს ნათლად გაიმეორეს და ძირითად კანონებშიაც ჩასწერეს. იუსტიციის მინისტრს უდიდესი მნიშვნელობა მიეცა. მაგრამ აუსრულებია კი ახლანდელ მინისტრს მოვალეობა? თუ მინისტრის მოღვაწეობას გავიხსენებთ, ნათლად დავინახავთ, რომ მინისტრმა კარგად უწყოდა, ვისა და რას ემსახურებოდა. მაგრამ კანონიერებას ემსახურება თუ მთავრობასა? იცავდა თუ არა მინისტრი კანონიერებას, როცა მთავრობამ 17 ოქტომბრის მანიფესტზე იერიში მიიტანა? ერთად-ერთი უმაღლესი დაწესებულება, რომელსაც დიდი უფლება ჰქონდა—სენატი იყო. მაგრამ მთავრობამ დამოუკიდებლობის ელფერი დაუკარგა და წაართვა უფლება წევრთა თავისუფლად დანიშვნისა. სენატმა ყოველგვარი უფლება დაჰკარგა და კანონმდებელ დაწესებულებათა საკამათო პროექტები სრულიად დაუბრკოლებლად დადასტურდა, თუმცა სენატს ჰქონდა უფლება მათი შეჩერებისა.

მინისტრის მოქმედების შედეგია— ყოვლად შემძლე მთავრობის სენატზე გაბატონება. თუ სენატს ასე ექცევიან, რაღა გვეთქმის ბრალდებულთა თაობაზე? მოლაპარაკემ ერთი მაგალითი სთქვა: გუბერნატორის წინააღმდეგ წასვლის გამო ბრალმდებელი, სამსახურიდან გადააყენესო. საზოგადოდ, სასამართლოს პატივსა სცემდნენ, ვიდრე დამოუკიდებელი იყო და სიმართლეს მისდევდა. მოსამართლეთა გადაყენება, ყოვლის კანონიერების წინააღმდეგი, პალატათა თავმჯდომარეობის თხოვნით დათხოვნა და სხვა — აი, როგორ სწმენდენ და ასუფთავებენ უწყებას. მინისტრი ძალიან კარგს ინებებს, თუ იტყვის: სამართლის წარმოება ჯერჯერობით შეუძლებელია და ამიტომ მოსამართლეთა გადაუყენებლობის კანონი დროებით უნდა მოვსპოთო. სასამართლო ეხლა იუსტიციის სამინისტროს ღ მთავრობის პოლიტიკის ამსრულებლად გამხდარა. განა არ გახსოვთ, გაკვეთილი მისცა სენატორმა ვორონინმა რუსეთის მოსამართლეებს ლოპუხინის პროცესის გამო (მემარცხენეთა ტაში). და ეხლა, როდესაც გამომძიებლის ლიჟინის საქმეს გაარჩევენ, რომელსაც საპროცესო ქაღალდებში სიყალბის ჩადენა ჰბრალდება, საგულისხმოა, ლიჟინი მოსამართლეთა შორის ვარვარინს რო დაინახავს, როგორ ეტყვის: „მხოლოდ ის ჩამიდენია, რაც თქვენგან ვისწავლეო (ხანგრძლივი ტაში მემარცხენეთა, ძახილია: ვა მა!)

როგორც კი სასამართლოში სამართალი დაიკარგა, დაიწყო ერთი დავიდარაბა და ვაი-ვაგლახი, განა სკანდალი არ არის ბუტოვიჩის განქორწინების პროცესი? როდესაც მომჩივანმა უმაღლესის პირების გამამტყუნებელი საბუთები წარადგინა, სადღაც გააქრეს ეს ქაღალდები. აპირებდნენ საზღვარ გარეთისათვის დაებრალებინათ, მაგრამ ტყუოდნენ: საბუთები იუსტიციის სამინისტროში იყო. სამწუხაროდ იუსტიციის მინისტრს ერთი რამ დაჰვიწყებია: სამართალი ყოველ პოლიტიკაზე მაღლა უნდა იდგეს, იგი თვით არის ძვირფასი. მინისტრს დაჰვიწყებია აგრეთვე გონივრული სიტყვა ნაპოლეონისა: ხალხი ყოველნაირ წესწყობილებას მიეჩვევა, თუ კარგი სამართალი ექნებაო—და მაშასადამე ხალხი იმისთანა წესწყობილებას ვეღარ შეურიგდება, სადაც სამართლის ნიშან-წყალიც გამქრალა (ხანგრძლივი ტაში მემარცხენეთა).

**იუსტიციის მინისტრი.** მაკლაკოვის სიტყვის იმ ნაწილს არ შევეხები, სადაც ჩემს მოქმედებას ლაფი გადაასხა. ვიტყვი მხოლოდ სამართლის დაკარგვისა და ფლიდობის გამო: შეუძლებელია იმ კაცს სამართალი მოსთხოვო, ვინც სხვას პატივს არა სცემს. სენატის შეზღუდვა არავის მოუნდომებია. იგი ყველაზე მაღლა სდგას და ჩემი გამოსარჩლებაც არ ესაჭიროება. 1885 წლიდან 1912 წლამდე სულ 11 კაცი დაგვითხოვნია და ამ დათხოვნას საფუძვლად ედვა ჯერ საპოლიტიკო მიზეზი, შემდეგ ზნეობის მხარე; ადგილი შეუცვალეთ ამ ხნის განმავლობაში შვიდსა. ამით ნათლად სჩანს, რამდენად უსაფუძვლოა მაკლაკოვის მოთქმა: მოსამართლეთა გადაუყენებლობა მოსპესო. რაც შეეხება ლიჟინს, ვისთვისაც ვითომ სამინისტროს დაევალებინოს „დაშნაკცაკანთა“ პარტიის პროცესში შენებურად იმუშავეო, თუ ლიჟინი დამნაშავეა, უეჭველია დაისჯება, მაგრამ ნურც ძალიან გაამტყუნებთ ლიჟინს, მინისტრი ახასიათებს, თუ რა პირობებში მოუხდათ „დაშნაკცუტუნის“ საქმის გამოძიება: გამოძიებამ დაამხო ძლიერი ორგანიზაცია და ნიღაბ აფარებული რევოლუციონერები. მხოლოდ გამოძიების შემდეგ დავინახეთ, რამდენად ძლიერი და საშიში ყოფილა ეს სარევოლუციო კავშირი. იმ დროს, როდესაც მოწმე სომხებს ჰხოცდნენ, საწინააღმდეგო ჩვენებას რათ იძლევითო, ლიჟინმა უშიშრობა, ვაჟკაცობა გამოიჩინა. რა მოსვლია 37 დოკუმენტს, ჯერ დანამდვილებით არ ვიცით, მაგრამ ერთმა მცოდნე პირმა სთქვა, ამ ქაღალდებს დიდი მნიშვნელობა არა აქვსო. ამიტომ სამართლის პრინციპის დარღვევა აქ არსად არის.

შემდეგ მინისტრი ეხება ლიჟინის მოქმედების ნოვორსიის რესპუბლიკის საქმეში და აღნიშნავს: სენატმა იგი გაამართლა და საზოგადოდ კარგ და მიუდგომელ ადამიანად გამოჰყავს იგი.

ტყუილია აგრეთვე მტკიცება, ვითომც რაღაც ქაღალდები განქორწინებისა დაკარგულიყოს სამინისტროს გამოისობით. პარიზის საელჩოს უკვე შევეკითხეთ ამის გამო, რადგან აუცილებელი იყო ამ საქმისათვის უცხო სახელმწიფოთა გამოკითხვა. შემდეგ მინისტრი შეეხო მაკლაკოვის აზრს, იუსტიციის სამინისტრო უბრძანებს მოსამართლეებს მისი ინტერესების მიხედვით გადასწყვიტონ საქმეებიო. განა შესაძლებელია ესა? პეტერბურგში მყოფი მინისტრი როგორ შეიძლებს ყოველ მოსამართლეზე გავლენის მოხდენას? რომ მოენდომებინა კიდეც, მაკლაკოვს დაემსგავსებოდა, იმ მაკლაკოვს, რომელიც დღეს რიღაცის დამტკიცებას ჰლამობდა და ვერაფერი კი ვერ დაამტკიცა. (ტაში მემარჯვენეთა შორის). მაკლაკოვმა სთქვა, სასამართლოსა და სამართალს პატივს აღარა სცემენო. მე კი ვიტყვი: სამართალს პატივს არა სცემს მაკლაკოვი. პარტიელების პატივისცემა რუსეთის სასამართლოს სრულიად არ ესაჭიროება; რუსის სასამართლო თავის მოვალეობას სინდისიერად ასრულებდა და ღმერთმა ჰქმნას ასრულებდეს მომავალშიაც, როგორც აქამდე შეუსრულებია და რამაც მის წინააღმდეგ გაილაშქრა სათათბიროს მემარცხენეები. ნამდვილ კრიტიკოსს ყოველთვის პატივსა ვცემ, მაგრამ მიდგომილ კრიტიკოს გულგრილად შევხვდები და ერთგულად მომუშავეთ კი ურჩევ: ნურაფრისა შეუშინდებით და თავის სინდისის მიხედვით იმოქმედონ: „ვინც რა უნდა სთქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“ (ცენტრელები და მემარჯვენენი ტაშს უკრავენ).

**ჩერნოსვიტოვს** კრიტიკის თვალით გადაუხედნია სამინისტროს მოქმედებისათვის და დასძენს: ამ ხუთ წელიწადში რუსეთის სამართალში ბევრი რამ შეცვლილაო. მთავრობას სასამართლო გაუხდია თავის პოლიტიკის იარაღად და ვინც მინისტრი კანონს დაარღვევს, ბედს ეწევა, სამსახურშიაც დაწინაურდებაო. აგენტების ცნობებით, [illegible] სასამართლოში, არ ჩვევენ საქმეს, არამედ სა[illegible] პოლიტიკურ[illegible] საქმის [illegible] უდევს ხოლმე საფუძვლადო. მინისტრმა განაცხადა, ლიჟინის მიერ 37 ქაღალდებში ჩადენილი სიყალბე საშიშ არ არისო. ამ განცხადებამ ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა არა მგონია ლიჟინი ჯეროვნად დაი[საჯოსო], დაათავა მოლაპარაკემ.

შემდეგი სხდომა მოხდა პარასკევს.

# სახელმწიფო საბჭო

დეპეშები.

**გოლუბოვი თავმჯდომარეობს.**

საბჭომ დაადგინა შემთანხმებელ კომისიას გადაეცეს მიღებული კანონ-პროექტები: ავადმყოფობის დრო მუშათა უზრუნველყოფისა, მუშათა დაზღვევისა უბედურ შემთხვევათაგან და მუშათა დამზღვევს სამმართველოს დაარსებისა.

თავმჯდომარის ადგილს **აკიმოვ[ი]** იჭერს. მისი წინადადებით, ფეხზე ადგომით პატივსა სცემენ დანიის მეფის ხსოვნას.

მცირე კამათის შემდეგ მიიღეს დე[ბულებანი] პირველ დაწყებით სკოლებისა.

კენჭის ყრის დროს **ვასილევ[მა]** განაცხადა: სახ. საბჭოს წევრთა ერთი ჯგუფი ამ კანონ-პროექტს ა[რ] მიემხრობა, რადგანაც სახალხო განათლების საქმეში მას შეზღუდვა[ს], შევიწროება შეაქვს და საზოგადოებრივ ცოცხალ ძალას საქმეში ა[რ] ურევსო.

უმრავლესობით პროექტი მიიღ[ეს] და შემთანხმებელ კომისიას გადას[ცეს].

კრება მცირე ხნით შესწყდა. გა[ნ]ახლებისას 15 წევრისაგან შემდგარ კომისია აირჩიეს ხოლმსის გამოყო[ფ]ის კანონ-პროექტის განსახილვე[ლ]ად. სათათბიროს მიერ შემუშავე[ბ]ულ მოხალისე ფლოტის ახალ დე[ბ]ულების თაობაზე საფინანსო კო[მ]ისიის მოხსენებას ისმენენ.

**მომხსენებელმა ავდაკოვმა** აღნიშნა: საფინანსო კომისიამ სათათბიროს მიერ გაუქმებული თანამდებობა დირექტორ-გამგისა კვლა[ვ] აღადგინა.

**ბრილოვი.** მოხალისე ფლოტ[ი] 1878 წელს შესდგა, მისი მიზანი სა[...] ხელმწიფოს დაცვა იყო. დღევანდელ კანონ-პროექტით კი იგი მხოლოდ სავაჭრო ფლოტად არის აღიარებული. სამხედრო და საზღვაო სამინისტროთ საკმაო გავლენა უნდა იქო[ნი]ონ მოხალისე ფლოტზე და მ[...] კამანდასაც უწინდებურად სამხედრო ელფერი უნდა ჰქონდესო.

**ვაჭრობის მინისტრი:** მოხალისე ფლოტი დიდ სამსახურს უწევს რუსეთს შორეულ აღმოსავლეთის სა[...]

---

# ძველი ჰანგები და ახალი ფორმა ჩვენს მწერლობაში

**„მღვიმეში“, როგორც სიმართლის აქდაგება.**

(დასასრული *)

3.

თუ „სამსონის თმებში“ მოქალაქობრივი მოტივი თითქმის უკანასკნელ საფეხურზედა სდგას, თუ იგი იქ თითქმის მივიწყებულია, სამაგიეროდ მას და მხოლოდ მას უჭირავს ერთად-ერთი ადგილი დადიანის უკანასკნელ ნაწარმოებ „მღვიმეში“. *)

„მღვიმეში“ ფანტასტიური სანახაობაა, წმინდა სიმბოლიური ნაწარმოებია. აქ, ამ მღვიმეში, მოთავსებულია ბნელეთის სამთავრო, რომელსაც არსაიდან მზის ერთი სხივიც არ ჩაუდის; მხოლოდ ხელოვნურის სინათლით არის იგი განათებული. სამთავროს მცხოვრებნი დაყოფილნი არიან ორ ბანაკად. ერთი მხრითა სდგას მფლობელი, მეორეს მხრით— ნაზი-ბროლა (მთავრის და) მგოსანი ზენისი, სახიერი, მზენათი, მუშები, ხუმარა ლუკ-ლუკა და სხვანი. ხალხი თალის გარღვევასა და სინათლის ჩამოშვებას თხოულობს. ლუკლუკა იგავებითა და გადაკრულებით მიახვედრებს მთავარს, რომ სინათლე და სიმართლე ყველგან არის და არსად კიო. თავისი მოხერხებული სიტყვით ჩააგონებს იგი გულჩვილ სუსტ თავადს, რომ თალის გარღვევა აუცილებელია, მაგრამ სუსტსა და გულკეთილ მპყრობელს სისრულეში ვერ მოჰყავს ეს აზრი, ვერ ანხორციელებს მას. ხალხი აჯანყდება, თალს გაარღვევენ და მზის სინათლეს ჩამოუშვებენ. აჯანყების დროს მთავარი გაიქცევა, დედოფალსა და ზოგ მის მომხრეთ მათი ჯინიანობა იმსხვერპლებს.

დროებით საქმის მმართველი გახდება გამოცდილი, ცბიერი მედროვე, უფროსი ვეზირი უშუყი. მის წინააღმდეგ ამხედრდება ზენისი, მაღალგონიერი და დიდსულოვანი მგოსანი, მტკიცედ დამცველი თავის პრინციპებისა. ის ურჩევს ხალხს, რომ მატყუარა, გაიძვერა უშუყი თავიდან მოიშოროს. ხალხი უშუყის მაგივრად ზენისს ასახელებს თავის ხელმძღვანელად, მაგრამ ზენისი არ სთანხმდებოდება. ზენისი მკაცრი სიტყვებით ამხილებს ხალხს მის უგუნურობას და ეუბნება, რომ იგი ღირსი არ არის თავისუფლებისა, რადგან არ იცის და არ შეუძლიან მისი მოხმარება. ბოროტი უშუყის მიერ წაქეზებული ბრბო ჩაჰქოლავს ზენისს, თავის საუკეთესო მოქალაქეს და ადამიანს. თვით ნაზი-ბროლაც ვერა ჰბედავს ზენისის აზრების გაზიარებას, ის ნაზი-ბროლა, რომელსაც მგოსნის სულიერ-ხორციელ მეგობრად მოაქვს თავი. დარჩა ზენისი განმარტოებული და დამარცხებული ბნელეთის მიერ. შავმა ძალებმა იმსხვერპლა ეს დიდებული ადამიანი და ვერც ბნელეთი იქნა განათებული. ზენისმა ხალხს ვერა ჩააგონა რა, მაგრამ მან თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას მაინც არ უღალატა. იგი მოკვდა იმ რწმენით, რომ მისი ჭეშმარიტი მოძღვრება, როცა იქნება, ნაყოფს გამოიღებს და კაცობრიობას ბედნიერებას მიანიჭებს.

ასეთია მოკლე შინაარსი „მღვიმეში“-სა. ეხლა ვნახოთ, თუ რამდენად ნათლად არის გამოხატული ამ ფანტასტიურ სანახაობაში ხალხის სიმართლისა და სინათლისაკენ მისწრაფება. ხალხი სრულს თავისუფლებას მოითხოვს და დარწმუნებულიც არის გამარჯვებაში, მაგრამ ჯერ მხოლოდ პატარა, უმნიშვნელო საკითხები გაჰყავს მას სამთავროს უზენაეს საბჭოში მგოსან ზენისის მჭევრმეტყველობის წყალობით და მისი რჩევით. მზის მაძებართა გამარჯვებული ჯგუფი გამოჩნდება მოედანზე და პირველი მთქმელი მიჰმართავს ხალხს:

გამარჯობა ძმებო, ხალხო,
დღეს გაგეღოთ ხშულნი კარნი!
მაშ გზა ფართო სიმართლისა,
მოვდივართ მზის მაძებარნი!
დაჩაგრულთა საიმედო
და მტერთათვის შესაზარნი,
სიმართლისა მოციქულნი,
სინათლის, მზის მაძებარნი!
გაიხარეთ, იზეიმეთ
დასჭექეთ და დაჰკათ ზარნი,
გამარჯობას მოგილოცავთ,
იხარებს მზის მაძებარნი!

მთავარმა არ იცის ხალხის გაჭირვების ამბავი, რადგან მისაგან მოწყვეტილია. ერთხელ, სეირნობის დროს, ამ გაჭირვებას თავის თვალითა ნახავს და ძალიანაც დააფიქრებს. ხუმარა ლუკ-ლუკა კიდევ უფრო დააკვირებს.

მთავარი სწუხს და ამბობს რომ სიმართლე ყოველთვის დამალული იყო, მაგრამ სად და როგორ, ვერ გამომეცნო და არც არავინ მითხრაო. ლუკლუკა კი ეუბნება. სიმართლე? შორს არის საცოდაო!

ზოგი ამბობს ცაშიაო,
ზოგი ქვესკნელს იხრიკება,
სიმართლე კი ისევ ისე,
საცა არის, იქვე რჩება.
ვინც მიაგნო იმანაც კი
ხელში ველარ დაიჭირა—
სასხლეტი რამ ყოფილაო!
მან საჯაროდ გაიკვირა.
და მას აქეთ ეს სიმართლე
ყველგან არის, არსად კია,
თუმცა კაცმა მის ძებნაში
ბევრი სული ხრაკა კია.

მხოლოდ ეხლა მიხვდა მთავარი, რომ სიმართლე ხალხში ყოფილა და უკვირს, რად არ არის იგი ბედნიერი. ლუკლუკა უხსნის—ამ სიბნელეში ბედნიერება არ შეიძლებაო. აღელვებული მთავარი ხუმარას უბრძანებს, გამშორდიო. ისიც მოიკრუნჩხება შადრევანთან და თავისთვის ლუკლუკებს:

ზოგს ეს უნდა, ზოგს ის უნდა,
ყველას ერთად ნეტარება,
ზოგი სულ მთლად დაძაბუნდა,
ზოგს სიცოცხლე ეზარება!

მე რა მინდა?.. ჩემთვის ჩუმად
ვილუკლუკო, ცრემლი ვღვარო
და სხვები კი სულ ვაცინო,
მაგრამ არვინ გავახარო!.

ხუმარა, როგორც მის მდგომარეობას შეეფერება, ყველას პირდაპირ და მოურიდებლად მიუთითებს მათს ნაკლულევანებასა და სიბრმავეზე. მთავარს ეუბნება, რომ იგი საცოდავია, თუმცა აღსავსეა გულწრფელისა და კეთილის სურვილით, არის კაცი ლმობიერი, სათნო, მაგრამ სუსტი, ვერაფის მომქმედი. მისი აზრით საცოდავია თვით ზენისი თავისის მისწრაფებით, თავისის აზრებით, რომელიც მას სიცოცხლეში არ განუხორციელდება. საცოდავია თვით ხალხი, რომელიც შფოთავს და ღელავს, რომელიც მზეს ეძებს, მაგრამ ვერ მიუღწევია, ცდილობს, მაგრამ ფრთა ვერ გაუშლია, თავისუფლად ვერ ამოუსუნთქავს და კვლავ წელში მოხრილი ჯურღმულებში წვრაქვსა სცემს. საცოდავია ნაზი-ბროლა მისი სიყვარულით ზენისისადმი, რადგან სიყვარული არ განუხორციელდება.

მთავარმა ვერ მოახერხა მოჯადოებულ წრიდან გამოსვლა, და ხალხმაც თითონ აჰხადა თალი. სულის შემხუთავი თალი დაინგრა, თავადი გაიქცა, დედოფალი მედროვე უშუყმა მოჰკლა, რომ ხალხის თვალში პატივი და ნდობა დაიმსახუროს. „ხალხმა თავის მიზანს უკვე მიაღწია“, მაგრამ ბევრი მებრძოლი დამარცხდა. ვერც ნაზი-ბროლა ეწია თავის საწადელს, პირადი სურვილები ვერ განიხორციელა. იგი ამბობს: „მე ხალხს ეხლა რაში გამოვადგები? მისთვის მხოლოდ აქამდის ვიყავ საჭირო... ეხლა მისი მე თვით მეკრძალება... არა! ჩემს გულში მზაკვრობა არ არის. მერიდება ამ ძალთაძალისა ეს რაღაც ტალღაა დიდი და შემოუვალი. ჩემთვის უცხოა იგი... დიახ, მშთენია მხოლოდ ზენისი. ის სულ სხვა გზით მავალი კაცი-ამაყი, ზვავი“! საერთო ნგრევა-განადგურების შემდეგ ნაზი-ბროლა შეხვდება ზენისს „განათებულ მღვიმეში“ და ეუბნება: „ცოცხალ ვარ მიტომ, რომ ერთის მხრით დაღუპული ძმა, თავადი ვიგლოვო და მეორეს მხრით შენის ნახვით ვიყო ბედნიერიო“. ამაზე ზენისი უპასუხებს: „არა, ნაზი-ბროლა! არც გლოვა, არც ბედნიერება.—თვალის ახელა! დადგა დრო, რომ ამ აბობოქრებულ ტალღას წინაღვუდგე. ეს უმწვერვალესი წამია. ის, რაშიაც მუდამ ხალხს ვამხილებდი, რასაც ჩემი ცხოვრების დღენი ვემსახურებოდი, უკვე თვალწინა დგას. მან ხორცი შეისხა და საშინელის უტიფრობით წინ მოადგამს ნაბიჯს. არა, მას მთელის ჩემის არსებით წი[ნ] უნდა აღვუდგე. მე ხომ მუდამ ამა[ს] ვამბობდი, რომ ხალხს მარტო მზ[ე] ვერ უშველის მეთქი! რომ იგი ვე[ერ] მოსპობს მათ შორის უსამართლობას, რომ იგი ვერ დაამყარებს საყოველთაო სათნოებას-თქო. აი პირველი მაგალითი და საუკეთესოც: ხალხ[ი] მოთავეთ უშუყ-ვეზირს ირჩევს!.

**ნაზი-ბროლა:** — როგორ, ამ ქვე[...] მძრომს. **ზენისი:** რაც გინდა ის დაუ[...] ძახე, მაგით საქმე როდი იცვლე[...] ბა, და აი სიბრმავე ხალხისა[ც] ირჩევს იმისთვის, რომ მან დედოფალი მოკლა, იმისთვის, რომ მა[ნ] იცის ხალხის სუსტი მხარე — თ[...] საით მოუაროს, მის რომელ სიმ[...] დააჭიროს ხელი. ამისათვის ხალხ[ი] იგი მიაჩნია მის კეთილისმყოფელა[დ] და მეთაურად ირჩევს. მერე რა შე[...] ცდომაა? და რად ხდება ეს შეცდომა? მიტომ რომ ხალხი ტყუვდე[ბა] ხელოვნურის ნიღაბით. მერე [...] ხალხი დაამყარებს სამართლიანობას[?] არა, ათასჯერ არა!! ჯერ თვი[თ] ხალხი უნდა შეიცვალოს, **ჯე[რ] თვით მისი სული უნდა ამაღლდე[ს] იმ მწვერვალამდე საცა სრულ[ი] შეგნებაა თავის თავისა,** საცა არ[ც] შური, არც სიძულვილი და მათგა[ნ] გამომავალი ათასგვარი თვალთ-მა[...] ქცობა არ არსებობს. ხალხის მ[...] სწრაფება დიდია, ამბობს ზენი[...] სი, მაგრამ მან არ იცის რაში[ა] ეგ სიდიადე. „იცით კი რაშია სი[...] დიადე? სულის სიმაღლეში, სული[ს] თავისუფლებაში... თქვენ კი ხარ[თ] მაგისათვის მომზადებული? ეკითხე[ბა] იგი ხალხს. შეგიძლიანთ თუნდა მ[...] დროვეების ზეგავლენას არ დაემო[...] რჩილოთ? შეგიძლიანთ შექმნათ ახა[...] ლი და სრულიად დამოუკიდებელ[...]

*) იხილე 1912 წლ. „სახ. გაზ.“-ს №№ 580,
*) იხ. „ცხოვრ. და ხელოვნება“-ს №№ —5 1910 და 1911 წ.

ვაჭრო საქმეში. ამასთანავე ეს ფლოტი სახელმწიფოს დაცვის საქმესაც ემსახურება.

საბჭო მუხლობრივ კანონ-პროექტის განხილვას შეუდგა.

**გრიმს** წინადადება შესწორება შეაქვს მე-33 მუხლში: ებრაელებს არ უნდა ეკრძალებოდეთ მოხალისე ფლოტის საბჭოს წევრობა.

**ვაჭრობის მინისტრმა** ორჯელ ილაპარაკა. მან აღნიშნა: მთავრობა არ უნდა შეზღუდოთ ფლოტის კომიტეტის თავმჯდომარის არჩევის საქმეში.

ბრილის წინადადება იყო, რომ ფლოტის საბჭოს თავმჯდომარედ უსათუოდ საზღვაო უწყების კაცი უნდა იყოსო. მინისტრის აზრით ეს სრულებით საჭირო არ არის. თავმჯდომარის არჩევნების სისწორე კანონპროექტით კარგად არის უზრუნველყოფილიო. საზღვაო უწყება ისედაც გართულია საომარ ფლოტის განახლებაში. საზღვაო უწყებას გამოჩენილი მოღვაწენი მუდამ იპოვნიან საქმეს საზღვაო უწყებაშივე და მოხალისე ფლოტის სათავეში უსათუოდ მათი გამწესება საჭირო არ არის.

ყველა შესწორებანი უარჰყვეს, კანონ-პროექტი საბჭოს საფინანსო კომისიის რედაქციით მიიღეს და 14 წევრისაგან შემდგარ შემთანხმებელ კომისიას გადასცეს.

შემდეგი სხდომა 5 მაისს იქნება.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩეველთა სიის შედგენა** ჯერჯერობით არ დაიწყება. როგორც ნამესტნიკმა განმარტა, სიის შედგენა დაწყებულ უნდა იქნას მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მესამე სათათბიროს დათხოვნისა და ახალ არჩევნების დანიშვნის თაობაზე უმაღლესი ბრძანება გამოიცემა.

✦ **ა. ს. პუშკინის ხსოვნის აღნიშვნა.** ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიამ დაადგინა, იმ დღეს, როდესაც მარმარილოს ფიცარი (ზედწარწერით: „ა. ს. პუშკინი 1829 წ. სცხოვრობდა იმ სახლში, რომელიც ამ ალაგას იდგა") პუშკინის ქუჩაზე წურინოვის სახლს უნდა მიაკრან, სწავლიდან გაანთავისუფლოს პუშკინის სახელობის საქალაქო სკოლების მოსწავლენი და დღესასწაულში მონაწილეობა მიაღებინოს. ეს დღესასწაული როდის გაიმართება, გამორკვეული არ არის.

✦ **სეირნობა.** 6 მაისს საარტისტო საზოგადოების საზაფხულო სადგომში სეირნობა გაიმართება ვაჟთა მეოთხე გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

✦ **საავადმყოფო ვერაზე.** როგორც მკითხველებმა იციან, გ. მ. სულაბერიძემ ქალაქის გამგეობაში საკითხი აღძრა იმის თაობაზე, რომ ვერაზე ქალაქის საავადმყოფოს განყოფილება დაარსდეს. ამ საგნის თაობაზე ქალაქის გამგეობამ მოხსენება დაამზადა და ქალაქის საბჭოს მომავალ კრებაზე შეაქვს განსახილველად.

✦ **ქველმოქმედთა საყურადღებოდ.** მეტად უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი **ანნა ნიკოლოზის ასული იმედაშვილისა,** სამი შვილის პატრონი. მას გუბერნატორმა ნება დართო გაზეთის საშუალებით საზოგადოებას ნივთიერი დახმარება სთხოვოს. ყოველგვარი დახმარება შეიძლება გამოიგზავნოს რედაქციაში და მის ბინაზედაც (უმჯობესია ბინაზე). ტფილისი, პრიუტის ქუჩა, გრაკალის მისახვევი, № 37.

✦ ქალაქის საექიმო ლაბორატორიამ „გემოს" ქარხანაში დამზადებული კვასი გამოიკვლია. კვასი კარგის ღირსებისა აღმოჩნდა.

✦ **ქალაქის სარევიზიო კომისიამ** თავის მომავალ მოქმედების გეგმა შეადგინა და განსახილველად ქალაქის გამგეობას გადასცა.

✦ **ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი გ. ვ. მუსელიუსი** სამსახურის საქმეთა გამო პეტერბურგს წავიდა.

✦ **ტრამვაის დირექტორი ინჟენ. ბელლი** ტფილისში დაბრუნდა და თავის თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

✦ **ავჭალის წყალსადენი** დაათვალიერა 3 მაისს საგანგებო კომისიამ, რომელშიაც შედიოდნენ ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელნი.

✦ ნამესტნიკმა ნება დართო ქუთაისის მცხოვრებს ილია კაკაბაძეს, სამგზავრო **ავტომობილები ამუშაოს** ქუთაისსა და ხონს შორის, ახალსენაკს და ზუგდიდს შორის და ქუთაისსა და ბაღდადს შორის.

✦ დღეს, საღამოს 6 საათზე, საზოგადო კლუბში **საბავშვო საღამო** გაიმართება. დღესასწაულის შემდეგ კლუბის წევრთა საერთო კრება მოხდება.

✦ **ქუჩების მოკირწყვლა.** წელს ქალაქის თვითმმართველობას თავის ხარჯთ-აღრიცხვაში 100,000 მან. აქვს შეტანილი გაუმჯობესებულის სისტემით ქალაქის ქუჩების მოსაკირწყვლელად. ქალაქის გამგეობამ უკვე შეადგინა სია იმ ქუჩებისა, რომელნიც წელს უნდა იქმნენ მოკირწყლულნი. სიას განსახილველად ქალაქის საბჭოს უახლოეს კრებას წარუდგენს.

✦ **პურის ნიხრი.** მეფურნეთა მამამასახლისმა გუბერნატორს თხოვნა მიართვა, რომელშიაც აღნიშნავს, არსებულ ნიხრზე პურის გაყიდვა საზარალოაო და ამიტომ ქალაქის გამგეობას დაავალეთ, რომ ნიხირს მოუმატონო. გუბერნატორმა თხოვნა ქალაქის გამგეობას გაუგზავნა.

✦ უკვალოდ დაიკარგნენ სოლოლაკის მცხოვრები მიხეილ გილესი და არბოვსკი და ამავე ქუჩაზე მცხოვრები მარტიროს ცატუროვი.

✦ 2 და 3 მაისს ტფილისში 54 უპასპორტო შეიპყრეს.

---

ცხოვრება ნამდვილ ადამიანთა?" არა, თქვენ ეს არ შეგიძლიანთ და ამიტომ „მძულხართ დიადის სიძულვილით ბრმები და უგუნურები!"-ო. ამით უშუყი სარგებლობს და ხალხს ურჩევს, ზენისი დასაჯოს, თუ იგი უკან არ წაიღებს თავის სიტყვებს. რასაკვირველია, ზენისი უკან არ წაიღებს იმ სიტყვებსა და აზრს, რომლისათვისაც იგი „ცხოვრობდა ქვეყნად, რომლის შემუშავებასაც შესწირა თავისი დღენი, რომელსაც ჰქადაგობდა მუდამ, ყველგან და ყოველთვის, რომელიც შეადგენდა მის რწმენას, მის წმიდათა-წმიდას". ხალხი კი გაიძახოდა: სიკვდილი, სიკვდილი და ჩაქოლვა მაგასო! აქ ხალხის მეორე ნამდვილ გულშემატკივარის —სახიერის—ცდაც ამაო გახდა. ვერც მისდამი ხალხის ნდობამ და სიყვარულმა გასჭრა, მანაც ვერ იხსნა ზენისი თავის ვამოსარჩლებით. ზენისი მტკიცედა სდგას და შეუდრეკელად გაიძახის: „მე ამას (ასეთს განაჩენს) მოველოდი! ხალხს არა აქვს იმდენი ადამიანური სიმხნევე, რომ მწვავე სიმართლე დამშვიდებულად მოისმინოს და სწორედ იმიტომაც ვეძახი მას უგუნურ ბრბოსა! დაე მომკლან! რაა სიკვდილი? ეს უკანასკნელი სტრიქონი ბუნების ნაწარმოებისა. წიგნი ერთხელაც არის ხომ უნდა დაიხუროს, მაგრამ აზრს რას უზამთ, აზრს, რომელიც ჩაექლო თქვენს ტვინს, მოედო თქვენს გულსა და გრძნობას! მას ვერც ჩაჰქოლავთ, მოსპობთ და ვერც სიცოცხლეს წართმევთო!" აქ, როგორც ჰხედავთ, ერთმანეთს უპირისპირდება აბსოლუტურ და შედარებითი ბედნიერების მაძიებელთა მსოფლ-მხედველობა. შეგიძლიანთ, ავტორს არ დაეთანხმოთ, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი აქ ღრმადა ჰსვამს საკითხს. სწორედ ჰსვამს, და არა სწყვიტავს, ვინაიდან ზემოხსენებული ნაწარმოები არ გვაძლევს სრულს განმარტებას იმისას, თუ სად არის ბედნიერება. ამას ნათლად ამოწმებს ნაზი-ბროლას შემდეგი უკანასკნელი სიტყვები: „წახდა ყოველი! ბედი! იმედი! გაჰქრა ყოველი!.. **ნუ თუ თვით თავისუფალი ცხოვრებაც უსამართლობისაგან შესდგება?!** ჩემი ყვავილი! ბუნებაც თურმე უსამართლოა! ამ შენ ნაზ თავში შხამი აქვს ჩამალული (ხელთ ლოტოსის ყვავილი უჭირავს). მაშ კიდევ ერთი უსამართლობაც (შესწრუტავს ყვავილის წვენს; ყვავილი ხელიდან გაუვარდება. (პაუზა), მზენად, აქ მოდი, დახედე... ჰმ! დასჭკნა ყვავილი! კიდევ ერთი გაჟრჟოლება და სულს განუტევებს...

ასეთია შალვა დადიანის შემოქმედება. იგი საუცხოვოდ ჰმოწმობს, რომ ჩვენი ახალ-გაზდა მწერლები მარტო „კოცნა-სიყვარულზე" არა სწერენ, როგორც ეს ბევრსა ჰგონია. შალვა დადიანის ნაწარმოებში მრავლად შეხვდებით მოქალაქობრივ და ფილოსოფიურ საკითხებსაც. სიკვდილი და სიცოცხლე, აბსოლუტური ბედნიერება და ჭეშმარიტება. ოჯახი და საზოგადოება, ოჯახი და სიყვარული, პიროვნება და ხალხი, კოლექტივიზმი და ინდივიდუალიზმი, —ყველა საკითხი აინტერესებს შალვა დადიანს და თავის სხვა და სხვა ნაწარმოებებში არკვევს კიდეც.

მხოლოდ ყველა ეს საკითხები ჩამოსხმულია განსაკუთრებულ, არა რეალისტურ ფორმაში.

მაგრამ ამ ახალმა ფორმამ არ უნდა დაგვავიწყოს, რომ შემოქმედების მატივები ძველია...

**გ. ჭუმბურიძე.**

---

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ბუნების მეტყველთა და ექიმთა მე XIII კრება ტფილისში.** ნ. ფ. რუდოლფმა წერილები დაუგზავნა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლების უფროსებს და დეკანებს და მრავალ აკადემიკოსსა და მსწავლულს და წინადადებას აძლევს, მონაწილეობა მიიღონ მომავალ კრებაში.

✦ **ქალაქის საბჭოს** კრებას, რომელიც ორშაბათს, 7 მაისს მოხდება განსახილველი აქვს 22 საქმე.

## სასამართლო

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია,** რომელიც დუშეთში იყო წასული სისხლის სამართლის საქმეთა განსახილველად, ტფილისში დაბრუნდა.

## სიღნაღი

✦ კვირას, 6 მაისს, დილის 10 საათზე ქ. სიღნაღში დანიშნულია დამფუძნებელი კრება **სიღნაღის საურთიერთო ნდობის ბანკისა**

# იაკობ გოგებაშვილის ავადმყოფობა

იაკობ გოგებაშვილს ცოტა გაუმჯობესობა დაეტყო. წინანდელს სისუსტეს აღარა ჰგრძნობს და საქმელსაც იღებს. სხვების დახმარებით დგება კიდეც.

# დეპეშა

(შემთხვევითი)

**ბაქო.** ღრმად დამაღონა პატივცემულ მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის ავადმყოფობამ. გთხოვთ გადასცეთ ჩემი უგულითადესი თანაგრძნობა და სურვილი მისი განკურნებისა.

**მანსვეტაშვილი.**

# ჟურნალისტის დღიური.

58.

### უილაჯო სკეპტიციზმი.

ამ ორიოდე დღის წინად ჩვენა ვწერდით იმ საცოდავ მდგომარეობაზე, რომელშიაც მატყლის მწარმოებელნი იმყოფებიან ჩვენში. მაგრამ იგი მხოლოდ ერთი მკრთალი ხაზია პრიმიტიულ წარმოების იმ სურათისა, რომელიც ჩვენი ცხოვრების მემატიანეს გადაეშლება თვალწინ, თუ ამ ცხოვრებას კარგად ჩაუკვირდება. სხვა რომ ჩვენს ადგილას ყოფილიყო, მრავალ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს ჩალის ფასად არ გადაუგდებდა ყველა გამვლელ-გამომვლელს და ამით შემოსავლის წყაროს არ გაანახევრებდა. მაგრამ ჩვენ გვაკლია უნარი თავის დაცვისა, უნარი შემოქმედებისა და ინიციატივისა, რომელსაც შეუძლიან მრავალ გაჭირვებიდან დაგვიხსნას. წარსულმა ისტორიულმა ცხოვრებამ ჩვენს მაღალ წოდებაში მოჰკლა ყოველ-გვარი თვით-მოქმედება. ფეოდალურ წეს-წყობილებაში აღზრდილი თავად-აზნაურობა სრულიად მოუმზადებელი შეჰხვდა მეოცე საუკუნის შეცვლილ სოციალურ პირობებს. ამიტომაც დაიბნა იგი, როდესაც ამ შეცვლილმა სოციალურმა პირობებმა ჩვენშიაც იჩინა თავი. შრომის საუკუნე იმას ანიჭებდა გამარჯვებას, ვინც შესაფერის იარაღით—ცოდნითა და ინიციატივით—იყო აღჭურვილი. ჩვენს მაღალ წოდებას კი ერთიც აკლდა და მეორეც. რაღა დარჩენოდა ამის შემდეგ ჩვენს მაღალ წოდებას, რომ მოხელეობას არ მისჩერებოდა და იქ არ მოეძებნა ხსნა. ისიც დაეწაფა ამ მოხელეობას. გზა მოხელეებისა გაკაფულია. იგი დიდს უნარსა და ინიციატივას არ მოითხოვს. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ერთის შეხედვით უცნაური მოვლენა, რომ რომელიმე თავად-აზნაურობა, კარგი მამულის პატრონი, თავის მიწა-წყალს თავს ანებებს და სადმე ფოსტის მოხელედ მიდის 25-30 მანეთიან ჯამაგირზე. რა შეუძლიან გააკეთოს ამ მცირე ჯამაგირით? სრულიად არაფერი. ოთახის ქირა, უხეირო სადილი და გახუნებული სურთუკი,—აი რას იძენს ხშირად ჩვენი „გაჩინოვნიკებული" მემამულე. თავს ანებებს მამულს, რომელიც შეუძლიან შემოსავლის წყაროდ გადააქციოს და მიდის ქალაქში მხოლოდ ამიტომ, რომ აშმორებულ ოთახში იცხოვროს და გახუნებული სურთუკი ჩაიცვას.

სხვა და სხვა სახით სწორედ ასეთი საერთო სურათი იშლება ჩვენს თვალ-წინ. დასაბამი ამ უკუღმართობისა სწორედ ის არის, რომ ჩვენი მაღალი წოდება მოუმზადებელი დახვდა მეოცე საუკუნის შეცვლილ სოციალურ პირობებს.

გლეხ-კაცობა მხოლოდ ეხლა გამოდის დამოკიდებულ სოციალურ არსებობის გზაზე. დღემდის იგი კარჩაკეტილი იყო. სწორედ ამიტომაც გლეხ-კაცობას უფრო მეტი ინიციატივა ემჩნევა და მეტი უნარი თავის დაცვისა. რა თქმა უნდა, საუკუნოებით დადებული დაღი ერთბაშად ვერ მოისპობა, მაგრამ დღეს უკვე ემჩნევა გლეხ-კაცობას დამოუკიდებელ ცხოვრების გზაზე გამოსვლა. მომავალიც მასშია.

იმ გარემოებამ, რომ ქართველ საზოგადოებაში ნაკლებად არის განვითარებული ინიციატივა და თვითმოქმედება, იქამდის მიგვიყვანა, რომ ჩვენს საკუთარ მიწა-წყალზე სტუმრებად გადავიქეცით. ვაჭრობა სხვის ხელშია, წარმოებას სხვები ეპატრონებიან, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისთვისაც კი შესაფერი ბაზარი ვერ მოგვიპოვებია.

ეს რამდენიმე დღეა ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა წერილი რ. გაბაშვილისა ახალ-ციხის მიწის „კიშელგურის" შესახებ. მცოდნე პირთა გამოკვლევით, ეს მიწა შემოსავლის დიდ წყაროდ შეიძლება გადაიქცეს, თუ ცოტაოდენი საწარმოვო თანხა მოგროვდა. მამულის პატრონს სდომებია ქართველთა შემწეობით დაეწყო საქმე, მაგრამ იმედი გასცრუებია, და ეხლა აზრადა აქვს უცხოელებს მიჰყიდოს ექსპლოატაციის უფლება.

ამ მიწის ავ-კარგიანობის შესახებ შესაფერი გამოკვლევანი არსებობს, ქართველ ინჟენრებსაც უმუშავნიათ და შეუმუშავებიათ წარმოების ხარჯთ-აღრიცხვა, მაგრამ არსაიდან ხმა არ ისმის, აზრადაც არავის მოსდის ხელი მოჰკიდოს ამ საქმეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნუ თუ დღემდის საზოგადოება იმით მაინც არ უნდა დაინტერესებულიყო, თუ რამდენად მართალია გამოკვლევანი, რამდენად მომგებიანი იქნება ეს საქმე, ან რა მომავალი მოელის მას? მაგრამ იქ, სადაც თვით-მოქმედება ჩაკლულია, ყოველს ამნაირს საქმეს თანა სდევს შავი აჩრდილი უსაფუძვლო სკეპტიციზმისა. უენერგიობის, უსიცოცხლობის მომასწავებელია იგი სკეპტიციზმი. ასეთის სკეპტიციზმით იყვნენ გამსჭვალულნი ჩვენი მამა-პაპანი მაშინ, როდესაც ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება ახლად იდგამდა ფეხსა. იგი იყო უცოდინრობაზე, უილაჯობაზე აღმოცენებული, და არა ცოდნის შუქით განათებული სკეპტიციზმი. აი, არსებობს ახალ-ციხის რაღაც უცნაურ თვისების მიწა, რომელსაც თურმე შეუძლიან ადამიანი გაამდიდროს, თუ რიგიანად მოჰკიდებს ხელსა. ადესაში ამ მიწის შესახებ სპეციალურ დაწესებულებებში მცოდნე პირნი მოხსენებას კითხულობენ, სამინისტრო ჰგზავნის ცირკულიარებს, შეგიძლიანთ საზღვაო სამინისტროს საჭიროებებისთვის ახალციხის „კიშელგური" იხმაროთო; და ჩვენ კი სკეპტიკურად ხელს ვიქნევთ და დედაბრის მიერ მოჭორილ ზღაპრად მიგვაჩნია ეს ამბავი...

დღეისთვის (ბელინსკის ქუჩა, № 2) დანიშნულია სხდომა საადგილ-მამულო კომისიისა, რომელიც თავის მოსაზრებებს წაუკითხავს მსურველთ. ვნახოთ, როგორ შეჰხვდება საზოგადოება ამ კრებას, დასძლევს თუ არა თავის უილაჯობის ნიადაგზე აღმოცენებულ სკეპტიციზმს...

**შინაური.**

# მოწერილი ამბავი

**ს. ახმეტა** (კახეთი) მშვიდობიანმა ზამთარმა, ადრიულმა თბილმა გაზაფხულმა პურის და ღვინის მოსავალს კარგი პირი დაუჩინა, მაგრამ დადგა 14 აპრილი და თოვლ-ჭყაპი მოვიდა. ორ დღეს ითოვლა, საშინელი სიცივეები დაიჭირა და ახლად გამოსული ნორჩი კვირტი დააძრო, ბუდეშური და მწვანე ვაზი მთლიანად გააფუჭა, გადარჩა რქაწითელი, რადგან მას ჯერ მტევნის კვირტი არა ჰქონდა გამოტანილი. 19 აპრილს ნაშუადღევის პირველ საათზე მოვიდა სეტყვა. რომელმაც თითქმის ნახევარ საათს გასტანა, დამწიფებულ ტყემლის ტოლას ისროდა და წლევანდელ ღვინის მოსავალს ბოლო მოუღო. ბევრმა იმერელმა მეზვრემ აიკიდა გუდა-ნაბადი და იმერეთისკენ გასწია. ბევრ მეზვრეს კიდევ პატრონებმა დანახარჯი აუნაზღაურეს, ფულიც მისცეს ზედ მეტი და რო მამული სამემრისოდაც არ გაფუჭებულიყო, ისევ კეთება დააწყებინეს. ყველაზე მეტად დაზარალდა ბითაანი, სადაც საუკეთესო ღვინო იცის. ს. ახმეტაში ორას დესეტინა ვენახზე მეტია, ბევრია მსხვილი მეზვრის პატრონებიც, მაგრამ მორტირების დადგმაზე კი არავინა ფიქრობს.

**არხოტიონი.**

---

# სხვა და სხვა ამბავი

კიევში სამხედრო საოლქო სასამართლომ გაარჩია საქმე კავკასიისათვის იარაღის მყიდველთა, ერთს მიუსაჯა 5 წლის კატორღა, მეორეს—4 წლისა; იარაღის მსყიდველს ვერდიევს 1 წლის ციხე და ორ შუამავალს ექვს-ექვსი თვისა.

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ძველ სულთანის აბდულ-ჰამიდის გვირგვინი გაუყიდნიათ 180 გირვანქა სტერლინგათ. (სტერლინგი 9 მან. და ცხრა შაურია).

სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკოს ბრიუსელის დეპუტატთა და სენატორთაგან წერილობითი პეტიცია მიუღია: მეორე სათათბიროს დეპუტატთა საქმე ხელმეორედ განიხილეთო.

ჩვენში კარგად ცნობილ ვოსტორგოვს მოსკოვში „კურსები" ჰქონია. ამ სასწავლებელში კურს დამთავრებულთ ციმბირსა და ამურის მხარეს გადასახლებულთა სამრევლოებში ნიშნავდნენ. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ციმბირის ეპისკოპოსებს ბოიკოტი გამოუცხადებიათ იმათთვის და სინოდისთვის შეუთვლიათ, რადგანაც არც ერთი იმათგანი საქმისთვის არ ვარგა, ამიერიდან ჩვენსავე კანდიდატებს დავნიშნავთ ხოლმეო.

# ოსმალეთ-იტალიის ომი

## დეპეშები

**სალონიკი.** ვალის (მმართველს) მთავრობისაგან ბრძანება მიუღია, სალონიკში მყოფი 2 ათასი იტალიელი უნდა განდევნოვო.

**ტრიპოლი.** გამოაცხადეს არაბთა 105 ბელადის ხელმოწერილი მოწოდება: არაბებო, იტალიელების მტრობას თავი დაანებეთო.

**სალონიკი.** ოსმალები დარდანელში იტალიელელების მიერ დანგრეულ ციხე-სიმაგრეებს ხელახლად აშენებენ. ვიდრე ამ საქმეს არ გაათავებენ, დარდანელის გახსნა ვერ მოხერხდება.

# ჩინეთის რესპუბლიკა

## დეპეშები

**მუკუდენი.** არეულობისა ძალიან ეშინიანთ და ამიტომ ვაჭრები დალნიში გარბიან. გირინის გუბერნატორისაგან ამბავი მოვიდა, მეოცე დივიზიაში მოძრაობააო, გუბერნატორი დახმარებას მოითხოვს, მაგრამ უარი შეუთვალეს.

**კულჯა.** ილის პრეზიდენტმა იუანშიკაისაგან განკარგულება მიიღო, საჩქაროდ გაათავე ჩუგუჩაკის მოლაპარაკება და ჯარი ძინხესაკენ წამოაყვანეო,

**ციციკარი.** იუანშიკაის გუბერნატორმა უნდა მოახსენოს მონგოლეთის საქმის ვითარება. იგი თურმე ბრძოლის გაძლიერებას მოითხოვს, რადგანაც მონგოლებს გაწვრთნილი ჯარი არა ჰყავთ, რუსეთი კი აშკარა მოხმარებას ვერ გაჰბედავს, რადგან სხვა სახელმწიფონიც ჩაერევიან მაშინ საქმეშიო.

**ურგა.** მონგოლეთის მთავრობის განკარგულებით რუსეთის საზღვარზე ყველა სადარაჯოები გააუქმეს. მონგოლეთს მეტად მიაჩნია რუსეთის მხრით საზღვრის გამაგრება.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**საზღვარ-გარედ.**

4 მაისი.

**დანიის მეფის გარდაცვალება**

**ჰამბურგი.** აქ დროებით ჩამოსული დანიის მეფე წუხელის გულის სიდამბლით გარდაიცვალა.

**ავსტრია-ჰუნგრეთის ამბავი**

**ვენა.** პალატა. პოლონეთის დეპუტატებმა ლვოვში გამართულ დემონსტრაციათა გამო შეკითხვა შეიტანეს. დეპუტატი სლოვინსკი შეეკითხა შინაგან საქმეთა მინისტრს, რას აპირებთ იმის გამო, რომ რუსეთის საკონსულომ უფლებას გადაამეტა და ავსტრია-ჰუნგრეთის შინაურ საქმეში ჩაერიაო.

**ყაჩაღები.**

**ნოაცნი.** ორი ყაჩაღი-ავტომობილისტი ვალე და გარნიე ერთ სახლში ჩასაფრდნენ. სახლს პოლიცია შემოერტყა. განუწყვეტელი სროლა აქვთ გამართული. ბევრი პოლიციელი დასჭრეს.

**დანიის მეფის გარდაცვალების ამბავი.**

**ჰამბურგი.** დანიის მეფე გუშინ კარგად იყო. უხაროდა კიდეც, თურმე, კოპენჰაგენში ჯანმრთელი დავბრუნდებიო. გუშინ საღამოს მეფე უმხლებლებ[illegible] გასეირნებლად წასულა. „ჰამბურგერ[illegible]"-ს სასტუმროსთან[illegible] ... ბა დაუკარგავს, მეფე ავტომობილით საავადმყოფოში წაიყვანეს, რადგან ვერავის ეცნო მეფე შემდეგ მხლებლებს ძებნა დაუწყვიათ და მეფე გადაუყვანიათ სასტუმროში.

დანიის მეფის ცხედარს ხვალ სადგურზე გაასვენებენ და გემით წაასვენებენ. ბევრს სახლსა და საზოგადო დაწესებულებაზე სამგლოვიარო დროშებია გამოკიდული.

**კოპენჰაგენი.** ფოლკეტინგისა და ლანდსტინგის სხდომაზე თავმჯდომარეებმა გარდაცვალებულ მეფის სახსოვრად სიტყვები წარმოსთქვეს.

**კოპენჰაგენი.** სასახლეს წინ ორმოცი ათასი კაცი შეგროვილა. აივანზე მდგარმა მინისტრ-პრეზიდენტმა დაიძახა! „მეფე ფრედერიკო მე-VIII გარდაიცვალა. გაუმარჯოს მეფე ქრისტიანს." ხალხი „ვაშა, ვაშას" იძახის. აივანზე გამოჩნდება მეფე და ქუდმოხდილი სიტყვას ამბობს: სამგლოვიარო ამბავს ყველა დანიელი დაუღონებია. მამაჩემი, თქვენი მეფე, უეცრად მიიცვალა და გული მომიკლა მე, ნათესავთა და ყოველ დანიელსა. დიდი მოვალეობა მარგუნა განგებამ და იმედია ისეთისავე ნდობით მომეპყრობა ხალხი, რანაირადაც მამაჩემს ეპყრობოდა, ჩემი მიზანია დანიის ბედნიერება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ღმერთმა მოჰხედოს ჩვენს გაჭირვებულ ქვეყანას და წყალობა მოუვლინოს! გაუმარჯოს დანიასა"!

ხალხი ამ სიტყვებს აღტაცებით მიეგება.

**ჰამბურგი.** დანიის მეფის ცხედარი ვაგზალში დიდის ამბით გაასვენეს. საღამოს ათ საათზე გავიდა ჩქარი მატარებელი, რომლითაც მეფის სახლობა ტრავემუნდეს გაემგზავრა დასაფლავება ხვალ მოხდება.

**ტრავემუნდე.** 11 საათზე ჩქარის მატარებლით ჩამოასვენეს მეფის ცხედარი. ზარბაზნის სროლისა და ზარების რეკაზე ცხედარი გემ „დანებროგზე" აასვენეს.

**ყაჩალთა შეპყრობა.**

**ნოჟანი.** ღამის ორ საათზე სახლი, სადაც ყაჩაღები ჩასაფრებულიყვნენ მელინიტით (ასაფეთქებელი მასალა) ააფეთქეს. აფეთქებამ კედელი გაანგრია და პოლიციის ძალლები შეცვივდნენ შიგა. დიდი ხნის სროლის შემდეგ სახლი იერიშით აიღეს. ყაჩაღები დაიჭირეს, ხელ-ფეხი შეუკრეს და ავტომობილებზე დააკრეს. ხალხი ყაჩაღების გაგლეჯას აპირებდა და პოლიციამ ხალხი გაჰფანტა, მაგრამ ორივე ყაჩაღი მკვდარი დახვდათ.

**კრაკოვის დემონსტრაციები.**

**კრაკოვი.** აქაური პრესა გუშინდელ მანიფესტაციებს ძალიან ფრთხილად ეპყრობა და მხოლოდ ფაქტს ასწერს. გაზეთი „ჩასი" ამბობს, პოლონელები ღირსეულის სიმშვიდით შეხვდნენ სათათბიროს პროექტს ხოლმის გამოყოფის თაობაზე და ღრმად სწამთ თავისი ერის ძალა, ამიტომ სრულიად ზედმეტია ქუჩაში მანიფესტაციების გამართვაო.

**უკრაინელნი და პოლონელები.**

**ვენა.** პოლონელთა კოლოს ვიცე-პრეზიდენტმა, სახალხო პარტიის წევრმა სტაპინსკის იაროსლავის დეპუტაციისათვის უთქვამს, სასურველი არ არის ლვოვში უკრაინელთა უნივერსიტეტის დაარსებაო. დეპუტაცია სწორედ უნივერსიტეტის საწინააღმდეგოდ იყო გაგზავნილი.

**მატარებლის გაძარცვა**

**ახალი ორლეანი.** გატისბურგს ახლო (მისისიპის შტატშია) ყაჩაღებმა ნიუ-იორკს მიმავალი ჩქარი მატარებელი გააჩერეს და დინამიტით ააფეთქეს. ყაჩაღებმა, 300 ათას მანეთამდე გაიტაცეს და მიიმალნენ.

**ვილჰელმი და ელზას-ლოტრინგენი.**

**ბერლინი.** ერთ ნადიმზე ვილჰელმს სტრასბურგის ბურგომისტრისათვის უთქვამს: აქამდე მხოლოდ ჩვენ კარგ მხარეს გასცნობიხართ, ეხლა შეიძლება სხვაც გაიცნოთ. თუ ელზასლორენის მდგომარეობა არ შეიცვლება, კონსტიტუციას მოგისპობ და პრუსიას შეგიერთებთო.

**გერმანელთა სკოლები.**

**ბერლინი.** საბიუჯეტო კომისიამ უცხოეთში მყოფ გერმანელთა სკოლებისათვის ერთი მილიონი მარკა გადასდო, მთავრობის წარმომადგენელმა გამოაცხადა ოდესაში ორ ახალ სკოლასა ვხსნით. კომისიის წევრმა სოციალისტმა სთქვა, გვირჩევნია ვოლგის ნაპირზე დასახლებულ გერმანელებს დავეხმაროთო. მთავრობის წარმომადგენელმა უპა-

სუხა, იქაური გერმანელები რუსეთის ქვეშევრდომად არიან ჩაწერილნიო.

**ოსმალეთის პალატის თავმჯდომარე.**

**სტამბოლი.** პალატა. 163 ხმით 12 წინააღმდეგ პალატის თავმჯდომარედ აირჩიეს ხალილ-ბეი, „ერთობისა" და პროგრესის პარტიის ბელადი, პირველ ვიცე-პრეზიდენტად —არაბი მაჰტეტ-ფაშა, მეორედ—ნადაჯიანი, მინისტრად ნამყოფი, სომეხი. უფროს მდივნად აირჩიეს—მუფიდი.

**სპარსეთის რეგენტი.**

**თეირანი.** ევროპაში წასვლამდე რეგენტი სეპეხდარის მამულში დაბინავდა.

**მინისტრთა გადადგომა.**

**ბელგრადი.** სამხედრო და ფინანსთა მინისტრებმა სტეპანოვიჩმა და პროტიჩმა სამსახურიდან გადადგომა ითხოვეს. მეფემ თხოვნა შეიწყნარა.

**არნაუტთა მოძრაობა.**

**უსკიუბი.** პრიზრენიდან დიაკოვოში ჯარი გაჰგზავნეს. დიაკოვოს ახლო მომხდარ ომის ამბავი არავინ იცის: მთავრობა სიმართლესა ჰმალავს, ფოსტა-ტელეგრაფი კიდევ ვერ მოქმედებს. არნაუტები დეშანის მონასტერს ემუქრებიან. რუსეთის კონსულის თხოვნით, მთავრობა 30 ჟანდარმი გაჰგზავნა მონასტერში, მაგრამ მერე უკანვე დააბრუნა. კონსულმა მეორედ აღძრა ამის თაობაზე შუამდგომლობა.

**უკრაინის სტუდენტები.**

**ვენა.** იმპერატორმა 1910 წელს ლვოვის უნივერსიტეტში მომხდარ ამბის მონაწილეთ დანაშაული აპატია. ამ საქმეში 100 უკრაინელი სტუდენტი იყო ჩაბმული.

**რ უ ს ე თ ი**

**სტუდენტის დასჯა.**

**მოსკოვი.** სამოსამართლო პალატამ გაზეთ „გოლოს სტუდენჩესტვა"-ს თანამშრომელს სტუდენტს ვიდრინს 129 მუხლის ძალით ერთი წლის ციხე მიუსაჯა.

**რონიკერის საქმე.**

**ვარშავა.** ხრჟანოვსკის ბარათის ხელის გამოკვლევის შედეგს ექსპერტები სასამართლოს ხვალ მოახსენებენ. შემდეგ დაიწყება დამცველთა და მსაჯულთა კამათი.

# შემოწირულობა.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1. იასონ დავითის ძე **ციციშვილმა:** ა) წითელი ხისაგან და ბზისაგან გაკეთებული ყუთი, რომელიც მოჰყოლია მზითვად მეფე ერეკლე მე-2-ის ასულს მარიამ ბატონიშვილს, ფანასკერტელ ციციშვილის, დავით სარდლის (ალექსანდრეს ძის) მეუღლეს; ბ) მშვენიერი სურათიანი ფაიფურის ძველებური ფინჯანი (ყავისა) ლამბაქით, მარიამ ბატონიშვილისავე ნაქონი; გ) ამავე ბატონიშვილისა ძველებური მოვარაყებულ ნაყშებიანი წითელი ფერის ჰიქა წყლისა, და ბუზის სახეებიანი ჰიქა ღვინისა; დ) ტფილისის მოურავად ნამყოფის, ესტატე დავითის ძის ფანასკერტელ ციციშვილის მეუღლის თალიას ნაქონი ფაიანსის ძველებური ტოლჩა; ე) ანტონ II კათალიკოზის ნაქონი ძველებური ჰინა და თეფში. ვ) თავად აბაშიძის ასულის, ფანასკერტელ ციციშვილის დავითის მეუღლე ქეთევანის მიერ (შემომწირველის დედის) ოქრომკედით ნაქარგი პატარა ხატის ბუდე; ზ) თიხის ოთხმუცლიანი ჰინჰილა (ჰიქლა), რომელიც უჩუქებია ერთად ქეიფის დროს თავად როსტომ წერეთელს (აკაკის მამას) თავისი პირველი ცოლის ძმისათვის, დავით ესტატეს ძის ციციშვილისათვის (შემომწირველის მამისათვის) ჰ) მღვიმის დედათა მონასტრის მონაზონის ელისაბედის მიერ ოქრომკედით ნაკერი ხავერდის ბუდე საათისა. ეს ბუდე 1870 წელს საჩუქრად მიურთმევია შემომწირველისათვის ხსენებულ მონაზონს; თ) ხის წყვილი სირჩა არყისა (სირჩა — სასმისი ჰურჰელი ხისა, (ბაკალი) უჩუქებია შემომწირველისათვის ოს ბალათარას; ი) საუცხოვო ხელოვნების სურათი პოტიომკინისა (სურათი თვით პოტიომკინს უჩუქებია ანტონისათვის, როცა ეს უკანასკნელი პეტერბურგში ყოფილა); ია) ექვს კუთხედი ლამაზად ნათალი ყავის ფერი პატარა ქვა, რომელიც ციხის ნანგრევებში უპოვნია შემომწირველს; იბ) საცილასის მთებში ნაპოვნი მადნის ქვის ნიმუშები; იგ) ტფილისის მოურავის ესტატე ციციშვილის, ფანასკერტელის ნაქონი ორი ძველებური ივარძელი; იდ) სახაზავი ფირფიტა (სიმებიანი); იე) მოზრდილი საფერფლე სადაფისა (ჩინებული ეკზემპლიარი); ივ) სხვა და სხვა ხილეულობის კურკებისაგან გაკეთებული ყვავილები (შემომწირველის ნახელოვნარი).

2. ნიკოლოზ პავლეს ძემ **იოსელიანმა:** მარტვილის მონასტრის სიგელი, 1772 წლისა.

3) ვასილ პლატონის ძემ **ჯავახიშვილმა:** ფერადი მძივებით ნაქსოვი ძველებური პატარა ქისა.

4) ადამ ივანეს ძემ **ფორაქაშვილმა:** ა) დამბაჩის ბუდე, ოქრო-მკედით ნაკერი და ბ) უმარილის სალესავი სადაფი თავის ბუდით და ხის ფირფიტით.

5) მღვდელმა კონსტანტინე **კავკასიძემ** (ს. მოხისიდან—მჟავის საზოგადოება): ა) ბეჭედი და ბ) თერთმეტი ძველი შავი ფული.

6) დავით სარდიონის ძემ **ციციშვილმა:** ა) ნასყიდობის ქაღალდი და ბ) 4 წერილი.

7) იუსტინე არბელაძემ: ა) 35 სხვა და სხვა წერილი; ბ) „ზატიკი", ხუცური ხელნაწერი (ბესარიონ კათოლიკოზის ბრძანებით გადაწერილი) და გ) ვერცხლის სპარსული ფული.

8) ნინო სვიმონის ასულმა **ანდრონიკაშვილისამ:** თავისი დედის თებრონია რუსიშვილის ასულის, ანდრონიკაშვილის მეუღლის მზითვის შეიდიში.

9) სოფელ დილმის მცხოვრებმა, გლეხმა ივანე გენებაშვილმა: ორი ძველი ქართული შავი ფული.

10) ქართულ გიმნაზიის მოწაფემ, გრიგოლ დიდებულიძემ: სამი ძველი შავი ფული.

11) ნიკომ: ა) თიხის ბეჭედი და ბ) ისრის წვერი რკინისა.

# თეატრი და ხელოვნება

**ბაქო.** ნიჭიერ და დამსახურებულ არტისტის ბ-ნი ვასილ აბაშიძის მონაწილეობამ და ახალმა ორიგინალურმა პიესამ პირველ მაისს თაკი მოუყარა მთელ აქაურ ქართველ საზოგადოებას. სწორე მოგახსენოთ, არცკი მეგონა, თუ აქეთკენ ამდენი ქართველობა სცხოვრობდა: ნიკიტინის უზარმაზარი ცირკი, თეატრად გადაკეთებული, სავსე იყო. ბაქოელ ქართველებს კაცი ვერ დაემდურება: თუმცა წარმოდგენა ყოველ კვირა იმართება, მაგრამ ხალხი მაინც ყოველთვის ბლომად ესწრება. ეშკარაა, უყვართ წარმოდგენები დედა ენაზე და ამისთვის არავითარ ხარჯს არ ერიდებიან. სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ ამ სიყვარულის გაღვიძებაში დიდი შრომა მიუძღვით სცენის-მოყვარეებს და დრამატიულ წრის წევრებს. რეჟისორ გვარაძის მეცადინეობამ შეართა სცენის-მოყვარენი და ეხლა ისინი ძალ-ღონეს არა ზოგავენ, რომ პირნათლად შეასრულონ ნაკისრი მოვალეობა. სასიამოვნოა, როდესაც ხედავ საქმის სიყვარულს და უანგარო შრომას. ეს საზოგადო სამსახურია, რომელსაც ღირსეულად უნდა აფასებდეს ყოველი ქართველი. ჩვენი სცენის-მოყვარენი მარტო იმას-კი არა სცდილობენ, რომ ქართული წარმოდგენა გვაჩვენონ: ყურადღებას აქცევენ თვით მხატვრულ მხარესაც და, რამდენადაც ძალ-ღონე შესწევთ და სასცენო მასალა ხელს უწყობთ, შესაფერ ნაყოფსაც აღწევენ. სხვათა შორის სრულებით აღარ გვიხდება ლაპარაკი ქართულ მოთამაშეთა ისეთ საზოგადო სენზედაც, როგორიც არის როლის უცოდინარობა.

ზემონათქვამიდან უკვე მიხვდება მკითხველი, რომ პირველ მაისის წარმოდგენას-გედევანიშვილის „მსხვერპლს"—ურიგოდ არ უნდა ჩაეაროს. მოთამაშეებმა ყველაფერი გააკეთეს, რაც-კი შეეძლოთ და რასაც თეატრი ხელს უწყობდა. სუსტი იყო მხოლოდ პირველ მოქმედების პირველი სურათი—გათენება. ჩვენი თეატრის ახალგაზრდა რეჟისორებმა შალიკაშვილმა და წუწუნავამ უკვე მიგვაჩვიეს სასცენო ეფექტებს და ეხლა ჩვენი დაკმაყოფილება ასე ადვილი აღარ არის. ძაღლების ყეფა ბუნებრივი არ იყო და ურმულიც სცენის გარედ ვერ იწვევდა შესაფერ სულიერ განწყობილებას. არც მეორე მოქმედების დაღამება ჰგავდა დაღამებას-ხან ბნელოდა, ხან მზე აჭყეტავდა, ხან კიდევ-მთვარე. მესამე მოქმედებაში საქო ამბობს, აქ მზეა და ჩრდილში წავიდეთო,—მზე-კი არსადა სჩანდა. მეორე მოქმედებაში ძალიან გაჭიანურებული გამოდგა უსიტყვო სცენა ნასადილევს: მთელი ათი-თხუთმეტი წუთის განმავლობაში დარბაზი მხოლოდ იმას შესცქეროდა, თუ როგორ გაჰქონდათ სუფრიდან ჰურჰელი. ეს-კი მაინცა და მაინც ვერაფერი სასიამოვნო სურათი იყო. ამ გაჭიანურებას აზრი ექნებოდა მაშინ, ბუნების თანდათანი ცვლილება რომ ყოფილიყო: ჯერ შებინდება, შემდეგ დაბნელება და ბოლოს მთვარის ამოსვლა. სამაგიეროდ კარგად ჩაიარა მასსიურმა სცენებმა პირველ და მესამე მოქმედებაში: ხალხი ბუნებრივად იძროდა, მოქმედებდა, ყაყანებდა. მართალია, სოფლის ყრილობისთვის უფრო დიდი ბრბო იყო საჭირო, მაგრამ არც ეგრე ადვილია ბაქოში ხალხის შეგროვება და მომზადება.

მოთამაშეთაგან, რა თქმა, უნდა, ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევდა ჩვენი ძვირფასი სტუმარი ვას. აბაშიძე. ხალხი აღტაცებით მიეგება მის პირველ გამოსვლას. ჯერ ხმა არც კი ამოეღო, რომ მთელ დარბაზში ტაში გაისმა. მიართვეს დაფნის გვირგვინი. მეტად მიგვაჩნია სიტყვის გაჭიანურება იმაზე, თუ როგორ მხატვრულად შეასრულა როლი ჩვენი თეატრის ამ დამამშვენებელმა მსახიობმა.

გიგუა ტეტიაშვილის როლის შესრულება ეკისრნა ბ-ნ გვარაძეს. პირველ მოქმედებაში კარგი იყო, ბუნებრივი და ძალდაუტანებელი; არც შემდეგში იყო ურიგო, მხოლოდ უკანასკნელ მოქმედებაში მის თამაშობას, ცოტა არ იყოს, თეატრალობის ელფერი ედო.

დანარჩენთაგან პირველობა ბ-ნ გ. პავლიაშვილს უნდა მივაკუთვნოთ. წინადაც აღვინიშნავს და ეხლაც ვიტყვით, რომ ეს მოთამაშე უეჭველის სასცენო ნიჭით არის დაჯილდოვებული. დასანანებელია, რომ იგი სავსებით არა სწირავს თავს სცენას, მაშინ როდესაც ამდენი უნიჭო და უსარგებლო მსახიობი დასტრიალებს ჩვენს თეატრს. გაბუას როლში იგი განხორციელებული გლეხი იყო, ქართლელი გლეხი, გულუბრყვილო, მეზობლის შემბრალებელი, სოფლისათვის თავდადებული; გლეხი, როგორიც ჯერ კიდევ ბლომად მოიპოვება ჩვენ გავერანებულ და უპატრონო სოფელში.

ჩვეულებრივის უნარითა და დაკვირვებით ჩაატარა მარიამის პატარა როლი ჩაგუნავას ასულმა.

ბ-ნი ლაქანელი ჩვენ მიერ გამოთქმულ იმედს ამართლებს: სცენაზე თავი თამამად უჭირავს და არა თუ როლს არ აფუჭებს, მოხდენილის და აზრიანის თამაშობით დამსწრეთა ყურადღებასაც იქცევს. ხელს უწყობს კარგი ქართული გამოთქმა, მშვენიერი ხმა და გარეგნობა. მისი ბოქაული ყველას მოეწონა. ესევე უნდა ვთქვათ ასათიანის ასულზე ნატოს როლში. კალანდაძის ასულს, როგორც წინადაც აღვნიშნეთ, ყოველ წარმოდგენაზე წინსვლა ეტყობა. იგი თითქმის მოერია კნ. სონას როლს.

სუსტი იყო ბ-ნი ნადირაძე ვანოს როლში. მისმა თავგანწირვამ ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, თუმცა ეს სცენა ძლიერია. ნადირაძეს უფრო სხვაგვარი როლები ეხერხება და ეს როლი არც თითიმ უნდა ეკისრა და არც რეჟისორს უნდა მიეცა, მით უმეტეს ამ როლისთვის იყო შესაფერი სცენის-მოყვარე— ბ-ნი ახობაძე.

ბ-ნ ჩაგუნავ ს (თავ. სოლომონ) სულმა უსწრო და ჯერ ინდოური ერსად სჩანდა, რომ დაიძახა აგერ ინდოურიც მოდისო, თუმცა სხვა მხრივ არა უშავდა-რა არც მას და არც დანარჩენ სცენის-მოყვარეთ.

ბ-ნი ვ. აბაშიძე ერთ წარმოდგენაზე კიდევ დარჩება აქ. იმის მონაწილეობით, ავ. ცაგარლის გარდაცვალებიდან ათი წლის აღსანიშნავად, კვირას, 6 მაისს, წარმოდგენილი იქნება განსვენებულ დრამატურგის პიესა „რაც გინახავს, ველარ ნახავ", სადაც აბაშიძეს ერთი საუკეთესო როლი აქვს. წარმოდგენა ძველ ბინაზე გაიმართება სომხთა კაცთ-მოყვარე საზოგადოების თეატრში.

**ხონი.** 21 აპრილს მინა ჰევჰანიძიძის ახლად აგებულ ელექტრო-თეატრის დარბაზში ქუთაისის ქართველ მომღერალთა საზოგადოების გუნდმა ძმათა შარაბიძეების ლოტბარობით გამართეს კონცერტი. კონცერტი შესდგება 3 განყოფილებისაგან; იყო სიმღერები როგორც ეროვნული, ისე ევროპიულიც. 50 ქალ-ვაჟი გამწყობილი იყო ეროვნულ ტანისამოსით. კონცერტს ხალხი ბლომად დაესწრო, სიმღერებიც კარგი იყო. კონცერტი გვიან დაიწყო, ანტრაქტებიც ძალზე გრძელდებოდა და ეს საზოგადოებაში უკმაყოფილებას იწვევდა.

**ვინმე ივერიელი.**

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნ რედაქტორო! „სახალხო გაზეთის" მე 584 ნომერში მოთავსებულია ჩემი წერილი „მიწის საკითხი გურიაში".—ამ წერილში გადაწერის დროს ფრიად სამწუხარო შეცდომა შემპარვია. ნათქვამია, თითქო თავ. ნაკაშიძეების დამცველად გამოდიოდეს ნაფიცი ვექილი კოწია ჯაფარიძე, **უნდა ეწეროს სერგია ჯაფარიძე,** რადგანაც ეს იყო ნაკაშიძეების დამცველი. იმედია, ბ-ნი კოწია ჯაფარიძე და აგრეთვე შეცდომაში შეყვანილი „სახალხო გაზეთის" რედაქცია მაპატიებენ ამ უნებლიე შეცდომას.

**დავრჩები პატივისცემით „მოკეთე"**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**


# განცხადებანი

**კუჭისა და ნაწლევების საეჭვო ტკივილები** წლის დღევანდელ დროში ხდება ხოლმე ყოველ ნაბიჯზე ამისათვის ყველა უნდა უფრთხილდებოდეს გადამდებ სნეულებას. როგორც ცნობილია, სნეულობისაგან გაფრთხილება უფრო ადვილია, ვიდრე მისი მორჩენა. საჭიროა, სხვა არა იყოს რა, ყოველთვის, ჭამის წინ, არამც თუ დაიბანოთ ხელები, არამედ დეზინფექციაც უყოთ, რისთვისაც განსაკუთრებით კარგი აღმოჩნდა **„№ 4711 სამკურნალო საპონი"**, რომელიც გადამდებ ავადმყოფობის აშლას ხელს უშლის.

ნამდვილი (ცნობები თუ როგორ უნდა იხმაროთ იგი (რუსულად და გერმანულად) დაბეჭდილია და თანა სდევს საპნის ყოველ ნაჭერს.

განსაკუთრებით გირჩევთ: „№ 4711 კარბოლის საპონს" (ავადმყოფთა საცვლების გასარეცხადაც კარგია) „№ 4711 მდოგვის საპონს" და „№ 4711 სულემას საპონს".

„№ 4711 სამკურნალო საპონი" იშოვება ყველა აფთიაქებსა სააფთიაქო და საპარფიუმერიო მაღაზიებში—ნაჭერი ორი შაურიდან დაწყებული.

სყიდვის დროს ყურადღება მიაქციეთ, რომ ყოველ ნაჭერს ეწეროს „№ 4711" მხოლოდ ეს არის თავდები, რომ საპონი კარგი ღირსებისაა.

M. 184049. (4—1219—1)

**ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა გამგეობა**

ამით აუწყებს ტფილისის მდაბიო მოქალაქეთ, რომ მიმდინარე წლის 8 მარტს მომხდარ რწმუნებულთა საზოგადო კრების დადგენილებით, რომელიც ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა, **ყოველი მდაბიო მოქალაქე, სულზე თითო მანათს იხდის საზოგადო საჭიროებისათვის 1912 წელსაც.** ამისათვის მდაბიო მოქალაქეთ კეთილ ინებონ და გამგეობაში წარადგინონ ზემოხსენებული მანათიანი გარდასახადი ამ 1912 წლისა და აგრეთვე წინა წლების დარჩენილი გადასახადი და ნუღარ მოუცდიან, რომ კვლავ საგანგებო უწყებით მოვაგონოთ ეს. ამასთანავე გამგეობას თავის მოვალეობად მიაჩნია გააფრთხილოს ბბ. მდაბიო მოქალაქენი, რომ ვინც არ გადაიხდის ამ ხარჯს, პოლიციის დახმარებით ძალით გადაჰხდება. (—242—1)

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

„606"—11—12 ს. **შეუხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ვასარდიანი.**

(წ. 1074.44)

**სნეულნო!**

**უფრთხილდით სიყალბეს!**

რადგანაც „**სპერმინის**" იაფ-ფასიან მიბაძულებას ავრცელებენ, რომელსაც მასთან საერთო არა აქვს რა და ხშირად ურევია ჯანისათვის მავნებელი ნივთიერება.

**ნერვების სისუსტისა, სქესობრივ უილაჯობისა, მოხუცებულების დაჩაჩანაკებისა, სევდის ქარისა, ნერვალოგიისა, სისხლ-ნაკლულობისა, ჭლექისა, ათაშანგისა, ვარდის წყლით წ მლობის შედეგისა, გულის სნეულებისა (გულის ქონი, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა), ძარღვების დადუნებისა, ალკოგოლიზმი, ხერხემლის გახმობისა, სიდამბლისა, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტისა, გონებრივ დაქანცულობისა და სხვა სნეულების დროს,** მხოლოდ „**სპერმინ-პელა**" აღწევს იმ ბრწყინვალე შედეგამდე, რასაც ღაღადებენ მთელი ქვეყნის მეცნიერნი და მკურნალნი.

**ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას:**

**სპერმინ-პელა**

და არ მისდიოთ მალამოებსა დ სხვა და სხვა სახელწოდების სითხეს, რომელთა უღირსობის შესახებ გამოცემულია საგანგებო ბროშურა, რომელიც უფასოდ ეგზავნება ყველას, **სპერმინის** თაობაზე დაბეჭდილ ახალ წერილებთან ერთად.




ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКІЙ ИНСТИТУТЪ
Профессоръ Д-ръ ПЕЛЬ и С-ья
Поставщики Двора
Его Императорск. Величества
С.ПЕТЕРБУРГЪ
В.О. 7 линія 18.

Метцль. № 68398. (12.1208.4)

**ყოველ-დღე მოგვდის:**

**ახალ-ახალი** ხიზილალა (ქიტკა) 2 მ. 40 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სჭლიანის თევზეულობა, და უოველგვარი გამისუ-ლი თევზი

(წ.—1131—54)

**თევზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვები.**

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.**

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

**სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა**

**მუდმივის საწოლებით.**

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

**ალაჯანოვი**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრვებსა სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სთ.

**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

**წ ა მ ლ ო ბ ა „606"-ით.**

(100—1615—59)

სუსუნატის წინააღმდეგ ახალი **წ ა მ ა ლ ი**

**„SALO—პიჩილინი"**

სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონიერულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფშივე ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა. ცალი 1 მ. და 80 კაპ.

მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავების და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Г. Конгейма. იგზანება ფასდადებით. გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის აფთიაქებში. ნარდად სააფთიაქო საწყობებში. Метцль 23672.

(წ. 1161.8)

**სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,**

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე, ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.**

(თ. 1037.52)

**1912 წ. მიიღება ხელის მოწერა დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულ"-ზე**

**წელიწადი მერვე.**

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

**24 წიგნი „ნაკადულისა"** მცირე წლოვანთათვის; **12 წიგნი „ნაკადულისა"** მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

**დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій про п. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის" აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაპაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გოძელაურთან, **განჯაში** ზ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოქროშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

(წ.—1627—66 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**


ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა".